

VIVA

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლის
ფინანსური ანგარიშგება

შპს VIVA

მსს ფასს



სარჩევი

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	7
2.1. წარდგენის საფუძვლები	7
2.2. მომზადების საფუძვლები	7
2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა	7
2.4. ამონაგების აღიარება	7
2.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები	8
2.6. მოგების გადასახადი	8
2.7. ძირითადი საშუალებები	8
2.8. არამატერიალური აქტივები	9
2.9. მარაგები	9
2.10. ფინანსური ინსტრუმენტები	9
2.11. კაპიტალი	10
2.12. უცხოური ვალუტა	10
2.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	11
3. ძირითადი საშუალებები	12
4. მარაგები	12
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	13
7. სესხები	13
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
9. შემოსავალი რეალიზაციიდან	14
10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14
11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების კომპილაციაზე

შპს „VIVA“-ს ხელმძღვანელობას

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ მოვამზადეთ შპს „VIVA“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

გარიგება ჩავატარეთ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტის 4410 (გადასინჯული), „კომპილაციური გარიგებების“ შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ჩვენი ცოდნა და გამოცდილება ბუღალტერიასა და ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა დაგხმარებოდით ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. გარიგების შესრულებისას დავიცავით შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის: პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის.

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე მთლიანობაში და მისი მომზადებისას გამოყენებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვვალდება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პაატა შურღია

პარტნიორი

30 სექტემბერი 2021 წელი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
არამატერიალური აქტივები		1,100	1,328	2,656
ძირითადი საშუალებები	3	37,590	43,227	49,396
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		38,690	44,555	52,052
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	4	458,315	522,895	522,697
ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		2,430	5,600	4,737
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	1,194,535	1,156,857	919,544
ფული და ფულის ექვივალენტები	6	6,778	82,296	105,988
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები		1,662,058	1,767,648	1,552,966
მთლიანი აქტივები		1,700,748	1,812,203	1,605,018
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		6,265	10,099	-
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		552,700	296,087	351,511
მთლიანი კაპიტალი		558,965	306,186	351,511
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	7	450,687	658,773	219,367
მიღებული ავანსები		2,117	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	671,401	827,789	990,612
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		17,578	19,455	43,528
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		1,141,783	1,506,017	1,253,507
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		1,700,748	1,812,203	1,605,018



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	პენიშვნა	წელი 2020	წელი 2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	9	3,726,197	3,772,786
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10	(2,571,871)	(2,900,612)
მთლიანი მოგება		1,154,326	872,174
სხვა შემოსავალი		17,446	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(759,941)	(763,357)
მთლიანი საოპერაციო ხარჯები		(759,941)	(763,357)
საოპერაციო მოგება		411,831	108,817
ფინანსური ხარჯები		(47,630)	(33,459)
(ზარალი) / მოგება სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		(112,424)	(58,360)
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა (ზარალი)		4,836	4,497
მოგება დაბეგვრამდე		256,613	21,495
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
საანგარიშო პერიოდის მოგება		256,613	21,495
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		256,613	21,495



კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ღარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	351,511	351,511
წინა პერიოდის კორექტირება		(76,919)	(76,919)
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	274,592	274,592
წლის მოგება/ზარალი		21,495	21,495
წლის მთლიანი შემოსავალი	-	21,495	21,495
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	10,099		10,099
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,099	296,087	306,186
წლის მოგება/ზარალი		256,613	256,613
წლის მთლიანი შემოსავალი	-	256,613	256,613
საწესდებო კაპიტალის ავტორიზებული ზრდა	(3,834)	-	(3,834)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	6,265	552,700	558,965



ფინანსური ანგარიშგება
შპს VIVA
2020 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს VIVA წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანია დაფუძნებულია 2013 წელს. მისი ძირითადი საქმიანობის სახეს წარმოადგენს არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა საკვებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით. კომპანიას ჰყავს სამი პარტნიორი. პარტნიორებისა და მათი წილების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

პარტნიორი	2020 %	2019 %
01015008582, ფერდინანტ ჩობანიანი	40.00	40.00
01015009735, აკოფ ჩობანიანი	40.00	40.00
01013016616, ედუარდ მურადიანი	20.00	20.00
სულ	100.00	100.00

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და წარმოდგენილია ქართულ ვალუტაში - ლარში.

2.2. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია.

2.4. ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მის მიერ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორიცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

2.5. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. 2020 წელს ბანკის მიერ კომპანიაზე გაცემული სესხი შეადგენს 470,000 ლარს.

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გამოკლებული სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯები. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია მფლობელისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ნებისმიერი თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვით მოგება/ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური პროცენტის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაზღვრული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

2.6. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ახალი რეგულაციის მიხედვით, რომელიც 2017 წლიდანაა ძალაში, მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება იმ პერიოდში როდესაც გამოცხადდება დივიდენდები, ფაქტობრივად გადახდის დღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლის მიხედვითაც ნაწილდება დივიდენდები. საგადასახადო განაკვეთი არის წმინდა განაწილებული ოდენობის 15/85.

კომპანიას 2019 და 2020 საანგარიშო პერიოდების განმავლობაში არ გაუნაწილებია მოგება და ასევე, არ განუხორციელებია რაიმე ოპერაცია, რომელიც დასაბეგრი იქნებოდა მოგების გადასახდით. შესაბამისად, მოგების გადასახადის ხარჯი ნულის ტოლია აღნიშნულ პერიოდებში.

2.7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი

გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება აქტივის ექსპლუატაციაში მიღებიდან. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების ოპტიმალურ პერიოდს. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	5 წელი
მანქანა-დანადგარები	7 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი ¹

2.8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

2.9. მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება საწვავებისგან და გასაყიდად გამიზნული პროდუქციისგან.

2.10. ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

¹ განისაზღვრება სატრანსპორტო საშუალების გამოშვების თარიღის მიხედვით

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და ამ თანხას ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები. გამონაკლისს წარმოადგენს ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდეგ, ფინანსური ინსტრუმენტები იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმეტესობა წარმოებს სტანდარტული საკრედიტო პირობების საფუძველზე, ხოლო დებიტორული დავალიანება პროცენტს არ ითვალისწინებს. იქ, სადაც კრედიტი გადიდებულია ნორმალურ საკრედიტო პირობებზე, მოთხოვნები განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულებების გადახედვა იმის დასადგენად, არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ თანხები არ არის ამოღებული. თუ ასეა, გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარებულია თავდაპირველად გარიგების ფასად და შემდგომ იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო სარგებლის მეთოდის გამოყენებით. ისინი ნორმალური საკრედიტო პირობებით არიან აღრიცხული და პროცენტს არ ითვალისწინებენ.

2.11. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგება-ზარალს.

ღივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

2.12. უცხოური ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აისახება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს, ერთი ევროსათვის შეადგენს 4.0233 და ერთი აზერბაიჯანული მანათისთვის - 1,9288 ლარს. (2019 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.8677 ლარი, ერთი ევრო 3.2095, ერთი მანათი 1.6861).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა,

რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

3. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყ ობა	მანქანა - დანადგარე ბი	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორ ტო საშუალებები	სულ
ღირებულება 01.01.2019	10,599	17,978	25,345	38,707	92,629
დამატებითი შესყიდვები 2019	-	2,748	3,550	7,075	13,373
რეალიზაცია	-	-	-	(10,067)	(10,067)
31 დეკემბერი 2019	10,599	20,726	28,895	35,715	95,935
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 01.01.2019	6,152	7,820	12,241	17,020	43,233
ცვეთა 2019	834	4,463	1,937	3,737	10,971
რეალიზ. ძირ. საშ. დაგროვილი ცვეთა 2019	-	-	-	(1,496)	(1,496)
31 დეკემბერი 2019	6,986	12,283	14,178	19,261	52,708
წმინდა საბალანსო ღირებულება					
01 იანვარი 2019	4,447	10,158	13,104	21,687	49,396
31 დეკემბერი 2019	3,613	8,443	14,717	16,454	43,227
ისტორიული ღირებულება					
ღირებულება 01.01.2020	1,941	20,853	9,649	20,259	52,702
დამატებითი შესყიდვები 2020	-	6,145	-	-	6,145
რეალიზაცია	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	1,941	26,998	9,649	20,259	58,847
დაგროვილი ცვეთა					
დაგროვილი ცვეთა 01.01.2020	834	4,463	1,937	2,241	9,475
ცვეთა 2020	834	5,797	1,899	3,252	11,782
რეალიზ. ძირ. საშ. დაგროვილი ცვეთა 2020	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	1,668	10,260	3,836	5,493	21,257
წმინდა საბალანსო ღირებულება					
01 იანვარი 2020	1,107	16,390	7,712	18,018	43,227
31 დეკემბერი 2020	273	16,738	5,813	14,766	37,590

4. მარაგები

ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მზა პროდუქცია	454,392	518,972
ნედლეული და მასალები	3,923	3,923
სულ მარაგები	458,315	522,895

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი, რომელიც წარმოშობილია არაუგვიანეს 6 თვისა. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია რეალურ ღირებულებასთან მიახლოებულ თანხად. სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. 2020 წლის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნის თანხებში ასახულია დაახლოებით 70 დებიტორის მოკლევადიანი მოთხოვნა (2019 წელი - 50 დებიტორი). დებიტორული მოთხოვნის დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, დებიტორთა გარკვეული რაოდენობა დავალიანებას ფარავს ერთი კვირის ვადაში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სრული ოდენობა შეადგენდა 1,156,857 ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბერს 1,194,535 ლარს.

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული სალაროში	2,931	11,228
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში	3,798	70,977
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში	49	91
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	6,778	82,296

7. სესხები

	სესხის თანხა GEL	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	კრედიტის ვადა (დღე)	წლიური ნომინალური განაკვეთი	წლიური ეფექტური განაკვეთი	უზრუნველყოფილი
სესხი 1	300,000	30.10.2020	20.10.2021	355	12 %	13%	კი
სესხი 2	157,805	05.02.2016	უვადო	-	15 %	-	არა

კომპანიის მიერ მიღებული ყველა სესხი არის მოკლევადიანი. სესხი 1 წარმოადგენს გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტის ნაწილს. სრული საკრედიტო ლიმიტის ოდენობა შეადგენს 3,120,700 ლარს, რომლით სარგებლობაც კომპანიას შეუძლია მრავალჯერადად, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე. ხელშეკრულება გაფორმებულია 2017 წლის 10 ოქტომბერს, ხოლო დასრულების თარიღი არის 2037 წლის 10 ოქტომბერს. აღნიშნული საკრედიტო ლიმიტი უზრუნველყოფილია კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებლის, აკოფ ჩოხანიანის, უძრავი ქონებით.

სესხი 2 არის ერთ-ერთი დამფუძნებლისგან მიღებული, 2016 წლის 5 თებერვალს და არის უვადო. აღნიშნულ სესხზე დარიცხული პროცენტების დაფარვა ხდება ყოველთვიურად.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში ასახულია დაახლოებით 210 კრედიტორის კრედიტორული დავალიანება (2019 წელი - 132 კრედიტორი). კრედიტორული დავალიანების დაფარვა ხდება 15-30 დღის განმავლობაში. ასევე, კრედიტორთა გარკვეული რაოდენობის დავალიანების დაფარვა ხდება ერთი კვირის ვადაში.

ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები იურიდიული პირების მიმართ	671,177	827,429
სავაჭრო ვალდებულებები ფიზიკური პირების მიმართ	224	360
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	671,401	827,789

9. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის შემოსავლები ძირითადად შედგება მზა პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისგან, რომელიც მოიცავს სამ სავაჭრო ობიექტს. გარდა ობიექტებიდან მიღებული შემოსავლებისა, კომპანიამ მიიღო სხვა საოპერაციო შემოსავალი მარკეტინგული მომსახურების გაწვიდან. 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდს, კომპანიამ ყველა სავაჭრო ობიექტიდან ჯამურად მიიღო 3,630,324 ლარი, ხოლო მარკეტინგული მომსახურებიდან 95,873 ლარი. 2019 წელს აღნიშნული ობიექტებიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 3,758,172 ლარს. ხოლო, მარკეტინგული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის ოდენობა 2019 წელს შეადგენს 14,614 ლარს.

10. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

საცალო რეალიზაციის თვითღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვის ხარჯს. 2020 წელს გაყიდული საქონლის მთლიანი თვითღირებულება შეადგენდა 2,571,871 ლარს. ხოლო 2019 წელს 2,900,612 ლარს;

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	წელი 2020	წელი 2019
ადმინისტრაციული ხელფასი და სხვა შეღავათები	271,567	278,887
მარკეტინგული ხარჯები	260,187	218,511
იჯარის ხარჯები	97,800	92,925
ავტომობილის ხარჯები	39,890	77,101
ბუღალტრული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	20,600	7,816
კომუნალური ხარჯები	19,059	12,644
ცვთის ხარჯები	12,010	12,299
ბანკის საკომისიო	10,175	2,968
საოფისე ხარჯები	7,608	2,749
საპენსიო ხარჯები	4,600	1,201
კომუნიკაციის ხარჯები	4,082	3,023
საკანცელარიო ხარჯები	2,428	9,191
უსაფრთხოების ხარჯები	1,424	356
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	1,075	-
საგადასახადო ხარჯები, გარდა მოგების გადასახადისა	738	2,700
მივლინების ხარჯები	573	14,145
წარმომადგენლობითი ხარჯები	165	218
დაზღვევის ხარჯი	-	3,148
სხვა ხარჯები	5,960	23,475
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	759,941	763,357